ფასი 10 მ.

ეშმაკის მათრახი

№ 27

1920 წ.
მაისის 26

ორი მეზობელი

რუსეთი. აკი გეუბნებოდი, ნუ იზამ, ნუ მშორდები, ინანებ-თქო! აბა, რა დაინგრიე ამ ორი წლიწადში? ჰო, რა დაინგრიე-მეთქი?.. რას გაჩუმებულხარ? ჩამომითვალე რაოა, რა დაამსხვრიე ამ ორი წლის განმავლობაში?

საქართველო. ჭურდა გამოგიტყდე, მეზობელო, რომ მსხვრევის დრო არა მქონდა, ისეც ბევრი რამ იყო ჩემს ოჯახში დამსხვრეული და იმის შენებას მოვუნდი... უკაცრავათ, ერთი რამ კი დავამსხვრიე ისე, რომ ვერავითარი ძალა ველარ შეაკეთებს!

რუსეთი. რა?

საქართველო. ბორკილი!

მოგონება

1. ორი წლის წინათ.

დღეს მაისის 26-ია.

სწორეთ ორი წლის წინათ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

მე არ დავსწრებივარ ამ დიდ-მნიშვნელოვან აქტის გამოცხადებას, რადგან მაშინ ჩემი წმინდა მოვალეობა სხვაგან ყოფნას მიბრძანებდა.

რა იყო ეს მოვალეობა?..

მაგრამ ვიდრე ჩემი ამბის თხრობას დავიწყებდე, ნება მიბოძეთ, მოგაგონოთ, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იმ დროს ჩვენი ქვეყანა.

ამ მიზნის გასაადვილებლათ მე პოეტურ ოინს მივმართავ და შედარებითი სურათს გადაგიშლით თვალწინ.

მართალია, ჩემი პოეტური სახე ცოტა მდარე ხარისხის იქნება, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე უპრეტენზიო პოეტი ვარ, დაწუნება საიმისოთ არ შემაწუხებს, მით უმეტეს, თუ ჩემი სურათი, თუნდაც დაბალი ღირსებისა, მიზანს მიაღწევს და ამ ორი წლის წინანდელ მდგომარეობას დაახლოვებით მაინც მოგაგონებთ.

წარმოიდგინეთ ქარიშხალისაგან გამხეცებული ზღვა (უამისობა ხომ არ იქნება!). ამ ზღვაზე უზარმაზარი გემი. საზარელი გრიგალი ამსხვრევს გემს. მთების ოდენა ზვირთების გმინვა-გრიალი, საშინელი ჭექა-ქუხილი, აწყვეტილი ქარის ზმუილი, სასიკვდილოთ განწირულ უთვალავ მგზავრების წყევა-კრულვა და ყვირილი ერთმანერთში ირევა. გემი თანდათან ირღვევა და იმტვრევა. თვითეულ ნამსხვრევს ბუზივით გარს ეხვევა უილაჯო, უმწეო და სასოწარკვეთილი ხალხი. დიდები პატარებს ართმევენ ადგილს, კაცები—ქალებს, ღონივრები—უღონოებს. მხოლოდ ერთ ადგილას მოსჩანს გემის ნამტვრევებისაგან საჩქაროზე შეკოწიწებული ნავის ჩონჩხი, რომელიც ფირფიტივით გადადის ზვირთიდან ზვირთზე. ნავში ზესთადამიანური მუშაობა სწარმოებს, მაგრამ დაუგმანავი ჭუჭრუტანები და ნახვრეტები იმდენია ნაუცბათევათ შეკრულ ნავში, რომ მენავე ვეღარ ასწრებს ყოველი მხრიდან შემდინარე წყლის ამოხაპვას. სასოწარკვეთილება მაინც ვერ ეკარება მენავეს და გააფთრებული მუშაობა ერთი წუთითაც არ ნელდება: თუ დაღუპვაა, დეე, მუშაობაში დაიღუპოს! ეს მტკიცეთ გადაუწყვეტია მხნე მენავეს და ამიტომაცაა, რომ უიმედობა და სიკვდილის შიში გაურბის მას!..

მადლობა ღმერთს! ძლივს არ მოვრჩი ჩემს პოეზიას!

ერთი მხატვრისა არ იყოს, სურათს რომ წაწერა—„ესე არს ლომი და არა ძაღლიო“,—ეხლა ნება მიბოძეთ გაგიმარტოთ ჩემი სურათი:

უზარმაზარი დამსხვრეული გემი ძველი რუსეთის იმპერია გახლავთ. ის პატარა, სახელდახელოთ შეკრული ნავი—საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო მენავე—ქართველი დემოკრატია.

აი, ეს ნავი შეიკრა სწორეთ ამ ორი წლის წინათ, მკითხველო, და თუ გახსოვს, მე და შენც შიგ ვისხედით.

იმედია, ისიც გეხსომება, როგორ მოხეთქავდა და მოთქრიალებდა წყალი ახალ-შეკრულ ნავის ჭუჭრუტანებში, რომელთა ერთბაშათ დახშობა და ამოლესვა ყოველსავე ღონეს აღემატებოდა.

ყოველი მხრიდან, ყველა ჭუჭრუტანაში მოძვრებოდა მტერი.

ჩვენმა სასიქადულო სახალხო გვარდიამ მრავალი ნახვრეტები ამოკირა მაშინ, მაგრამ ერთი მუჭა ხალხი აბა ყველგან როგორ გასწვდებოდა!

ყველაზე უფრო საშინელი მტერი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით გვიტევდა, მოულოდნელი გამარჯვებით გულ-გასული და გაუტიფრებული ოსმალო იყო. ამათგან მოელოდა ქვეყანას წალეკვა და დაღუპვა.

სწორეთ ამ ჭუჭრუტანების ამოტენა და დაგმანვა იყო ყველაზე უფრო საჩქარო, მაგრამ რით, რა მასალით?

და მენავემ მიაგნო ამ მასალას!

საქართველომ მოახერხა თურქების მოკავშირის, იმ დროს ყოვლად ძლიერი გერმანიის, მომხრობა და როდესაც გულზვიადი ოსმალოს ჯარები სამი ნაკადით შემოჭრილიყო ჩვენს ქვეყანაში და შეუჩერებელი სრბოლით მოდიოდა საქართველოს გულისაკენ, ამ ნაკადებს გზა შეუგუბა და შეაჩერა... გერმანიის დროშებმა!

მაისის 24-ს და 25-ს ყველა ფრონტებზე საჩქაროთ დაიგზავნა ტყვეთ დარჩენილ გერმანელებისაგან სახელდახელოთ შემდგარი პატარ-პატარა რაზმები.

2. „კასკა“

ერთი რაზმი ბორჯომისაკენაც გაემგზავრა აწყურთან მოსეული მტრის შესაჩერებლათ და ამ რაზმს ვინ უნდა გაჰყოლოდა თან, თუ არ თქვენი უმორჩილესი მონა, რომელიც მაშინ (შემინდეთ და მაპატიეთ, აჩრდილნო ალექსანდრე მაკედონელისავ და ნაპოლეონისაო!) უნიჭიერეს სარდლათ სთვლიდა თავის თავს და რომელსაც დაუფასებელი ღვაწლი მიუძღოდა ამ ფრონტზე (ერთი ღამე გაათია ბრძოლის ველზე დროებითი ზავის დროს და ორი თვის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა სამხედრო მინისტრს ბორჯომიდან პირდაპირი მავთულით).

ყველანი მზათ ვიყავით წასასვლელათ: 15 გერმანელი ჯარისკაცი, ერთი გერმანელი ლეიტანანტი და, რასაკვირველია,—მე.

სწორეთ იმ წუთში, სადგურზე წასასვლელათ

რომ უნდა დავძრულიყავით, ლეიტენანტმა განაცხადა,—რა კარგი იქნებოდა, ერთ გერმანულ კასკას *) რომ მიშოვიდეთ, მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა ხალხზედაც და მტრებზეცო.

ამ დროს იქ ჩემს გარდა ორი ქართველი იყო.

— მაგაზე ადვილი რა არის? ეხლავე გავაჩენთ!— წამოიძახა იმ ორმა და მათთან ერთად მეც. გერმანელები სადგურზე გავგზავნეთ, ჩვენ კი კასკის მოსატანათ წავედით ავტომობილებით (მადლობა ღმერთს, ავტომობილები ბლომათ იყო!).

— სად წაგიყვანოთ?—მკითხა შოფერმა.

მხოლოდ ახლა მივხვედი, რომ შევტოპე და კასკა არსად მეგულებოდა. „რა ვუყოთ მერე—გავიფიქრე გუნებაში: ისინი ხომ მაინც იშოვიან-მეთქი და იმ ორ ჩემ თანამემამულისაკენ გავიხედე. შევატყე, რომ, რაღაც, ისინიც ყოყმობდენ. „ვაი თუ იმათაც ჩემსავით შესტოპეს-მეთქი, გამიელვა თავში და ჩემი გაჭირვება რომ არ შეემჩნიათ, რომელიღაც ქუჩა დავუსახელე შოფერს ალალ-ბედზე.

გზაში მომაგონდა, რომ გერმანული კასკა მართლაც ვნახე ერთი წლის წინათ ჩემი კარგი ნაცნობის ოჯახში და გახარებული გავეშურე მის ბინაზე. მივედი თუ არა, საჩქაროთ ავირბინე კიბეზე, შევვარდი სახლში და ავუხსენი მასპინძელს ჩემი მისვლის მიზეზი.

— წაიღე, გეთაყვა, როგორ დაგიჭერ, მაგრამ ჩქარა კი გაიტანე აქედან, თორემ ჩემმა პატარა რეზიკომ თუ შეგასწრო თვალი, გათავდა, ვეღარ იგდებ ხელშიო, —მითხრა და კასკა ჩამაბარა.

ის იყო მოვტრიალდი წასასვლელათ, რომ ჩემდა საუბედუროთ, კარი გაიღო და შემოვარდა პატარა რეზიკო.

— Куда ты несешь мою каску?—დაიყვირა მან და ხელში მეცა. (რეზიკო თავგამოდებული ქართველი პატრიოტის შვილია და ამიტომ მხოლოდ რუსული ლაპარაკი იცის).

— გენაცვა, რეზიკო! ათხოვე ძიას კასკა, დღესვე მოგიტანს... შენ ხო ჭკვიანი ბიჭი ხარ... აბა დღეს რად უნდა მოგინდეს? ათხოვე!—ემუდარებოდა მამა (რუსულად, რა თქმა უნდა), მაგრამ ამაოდ!

ვინ იცის რა, არ ვუთხარით, რას არ შევპირდით, რა გრძნობას არ დავაწექით, მაგრამ რეზიკომ რაკი ერთხელ ჩაიგდო ხელში კასკა, მორჩა, მისი მოდრეკა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა.

ბოლოს დამუქრებაც კი დავუწყე, მაგრამ ამანაც არ გასჭრა: პასუხათ ენა გამომიყო და დამეღრიცა.

ყველაზე უფრო ის მაბრაზებდა, რომ მამა ამ დროს გულიანათ იცინოდა და დატუქსვის მაგიერ, თავისი სიცილით ამხნევებდა ნებიერსა და თავგასულ ლაწირაკს.

ოფლი დამასკდა და სისხლი ყელში მომადგა. მარტო ვყოფილიყავ, მე ვიცი რასაც ვუზამდი ამ თითის ტოლა არამზადას!

როცა დავრწმუნდი, რომ აქ არა გამოვიდოდა-რა, სხვა ველარაფერი მოვახერხე: ბავშვს, ვითომ ალერსიანათ, ხელი მოვხვიე, დაყვავებით ვუთხარი, —რა არის, რეზიკო-ჯან, მომეცი-მეთქი—და ჯავრის ამოსაყრელათ ერთი ისე ვუჩქმიტე პატარა მკლავზე, რომ ციცი ხმით დაიწივლა და გალურჯდა.

— რა მოგვიდა, გენაცვა!—შევსძახეთ ერთხმათ მეც და მამამაც და ვიდრე სულ-შეკმეული ბავშვი იტყოდა რასმე, მე შურდულივით გავარდი კარში.

— Дядя ущипну-у-у-улъ!—მომესმა კიბეზე რეზიკოს ბღაოილი.

სადგურზე რომ მივედი, ყველაფერი მზად იყო ჩვენ წასასვლელათ. გერმანელები თავიანთ ვაგონთან იდგნენ, ის ორი ქართველი კი, კასკებისთვის რომ წავიდნენ ჩემთან ერთად, რა თქმა უნდა, არსად სჩანდენ...

თაგუნა

(დასასრული შემდეგ)

*) კასკა—ჩაფხუტი, რკინის ქუდი.

ღია წერილი

სოლომონ ზურგიელიძეს.

სოლომონ, ეჰა სოლომონ, ზესთა შუქ გამაკრთობელო!
აწინდელ ქართველ მგოსანთა ძმაო და მამავ მშობელო,
მათ გულის თქმათა მეუფევ, მათზე ცრემლ შეუშრობელო,
კვლავ შენად წერად ვიჩქარი, ზრახვათა ჩვენთა მპყრობელო.
შარშან მოგწერე უსტარი მცირე და გაუბედავი;
პასუხი არა მცნევია... არ თუ მიიღე ნეტავი?
თუ კი მიგელო, სანაცვლოდ მომწერდი გულთა მხედავი,
რითმათა ნთხევის მეუფე და აზრთა ბრძნულთა მჭედავი.
მოგეხსენება, მგოსანო, სისწრაფე ჟამთა სრბოლისა,
მისთვის წამია უბრალო დრო წელთა გარდმოსროლისა,
არა გვაქვს შიში მომავლის, გარდამვლელ ქართა ქროლისა
ვერ შეგვაშინებს ანტანტაც, თუმც სრულად გვე კუკ-კოლისა.
ჯარი კვლავ აღსდგა ქართული, მტკიცე და შეურყეველი...
მას ბურჯათ უდგის გვარდია, დროშათა წითელთ მრხეველი,
ძალგულოვანი, მამაცი, აბჯართა მტერთა მხეველი,
სამშობლოს სადარაჯოზე დღეთა და ღამეთ მთეველი.
ზღუდენი საქართველოსი ფრონტია განუწყვეტელი.
მას ძალა ჩვენი, სამხედრო, გარს უდგა ვითა კედელი,
სხვას არ დაესხმის, თავდამცემს შეხვდება მტერთა მწყვეტელი.
ვითა დაეღონდე სულმნათო, თვალით ვარ მისთა მჭვრეტელი.
რუსებთან ზავი დავწერეთ, ჩვენგან არ დასაწუნარი..
მე ის... ასე ვთქვათ... (ეჭვები არც თუა გასამტყუნარი)
ბოლშევიკებსა არ შერჩათ გონივრულ საქმეთ უნარი,
გრძნობა მათ ამა საქმისად აქვთ ერთობ მონადუნარი.
შემდგომად რისხვა-მუქარის, ბრძოლის და აზრთა რყევისა,
რუსეთმან იცნო უფლება ჩვენი თვითგამორკვევისა.
მან მოგვიწერა ეგ ზავი, ნაყოფი რბევა—ნგრევისა
(ძალი ვინც მოჰკლას, მასვე ჰხამს ზრუნვა მის გადათრევისა!)
აზრითა ჩემით „კომუნისტს“—არ ენდო უკეთესია.
ის ვერ მოითმენს,—კვლავ გიკბენს, ვით მორიელთა წესია,
ჩრდილოეთიდან ზავს გვიკრავს, სამხრეთით შემოგვესია,
მაგრამ მოსტყუვდა... ქართველსაც აწ რხმალი მოულესია.
მუხანათური ხალხია ეს კომუნისტთა გვარები,
მათ შორის ყმანი ქართველნი სცან სხვათა შეუდარები.
სამშობლოს მათმა ღალატმა დღე გაუთენა მწარები,
ციხეს გვიტეხენ შიგნითგან... ქანქართა სდიან ღვარები.
მაგრამ გსმენია, ვით ბრუნავს ცხოვრება მიწყიე მბრუნავი:
მტერთა სიმრავლემ სამშობლოს მეტი შესძინა მზრუნავი,
მცირეღა დარჩა ორგული მოუტეხ-მოუთრგუნავი
იმათი საქმე მსგავსია, მუხის ძირს სთხრიდეს მჩმუნავი.
ადირბეჯანი შესჭამა ვეშაპმან ჩრდილოეთისა,
ქვეყანა ნავთის, მაზუთის, ბენზინისა და ზეთისა,
სამშობლო ცხვართა, აქლემთა და ვირთა (არა ერთისა)
ქვეყანა—ხიდი, რუსეთის თათრებთან შესაერთისა.
ჯერაც არ იცის თათარმა თუ სული ვითარ დალია,
ვერა გრძნობს ზუგზედ წამომჯდარ მოსკოვს ჯერ ბაქოს ალია,
მაგრამ როს მწარე ხელნისგან ტყავი ჩნდეს გადამძერალია,
მიხვდება ისი უგონო, ვისგან და რისი ბრალია.
ბედი არ გვწყალობს, სოლომან, ჩვენ მეზობელთა ყოლასა,
მათგან ვემთხვიეთ მარად-ჟამ სამუხანათო ბრძოლასა,

ასე ჰგავ თითქო სწავლობდენ მხოლოდ იუდას სკოლასა;
სოციალიზმის მოძღვრებად სცნობენ ტერტერას, მოლლასა.
ერთთავად კომუნისტობენ როცა ეს ხელსაყრელია,
ჩალმას იცვლიან, გული კი კვლავინდებურათ ჭრელია,
არ დაგზოგავენ ღალატად თუ კი მიუწვდათ ხელია,
მოძმის დაღუპვა იმათთვის სასურველ—სანატრელია.
რაღა თათარი!.. სომეხი როცა მას წაეცილება!
საჭიროდ ვსცანი შენს წინა ამა მეზობლის მხილება!
ვერ შეითვისეს ცხოვრების მათ სწავლა, გამოცდილება...
ვით ცერცვი კედელს... შეაყრი, იგი მყის მოეცილება.
ნუ გამიმტყუნებ, მგოსანო! ვარ მათზე განაბრაზები...
ბათუმსა გვეცილებიან ერევნის „ბუმბერაზები",
აჭარის გულზე გაუსვამთ მათ სარკინისგზო ხაზები,
ანტანტის ხელით, ღალატით ყელს გვჭრიან ოინბაზები.
მაგრამ სად თქმულა, სულმნათო, სიმუხანათე ამგვარი?
დროა, მტრულ ქცევას იმათსა მტკიცე დაედვას სამზღვარი,
სადა გვაქვს მიწა-მამული სხვათათვის გზებად საჭარი,
სცდების და სცდების ვინც ფიქრობს, თუ გასწორდების ვაჭარი.

სირცხვილი იყო ეს ცნობა შენთვის არ გამემზიარა,
ბათუმი არის ქართველთა წყლული და მწვავე იარა,
ჯერ ოსმალეთი გვებრძოდა, პირველ რო გამოიარა
დღეს-კი შევხედოთ, მის ნაცვლად სომეხი ჩაგვეზიარა.
აქ საიდუმლოთ გეტყვი შენ, არ გამიმხილო თქმულები,
მტერი ბევრი გვყავს, მათ საქმე არ ესირცხვებათ მტრულები,
სიმართლის დასართგუნავათ უხვად იხარჯვის ფულები,
გული არა მთქვამს ასრულდეს იმათი განზრახულები.
სხვა აქაური ამბავი კვლავაც თუ იმა ფერია,
რაც შარშან მოსახსენებლათ მე შენთვის მომიწერია:
გარეთ მოყვარე მატულობს, შინ გვიმცირდება მტერია,
სამშობლო კვალად კეკლუცი, ტურფა და მშვენიერია.

აწ გავათავე უსტარი და ვიტყვი მდაბლად მთხოველი,
მამცნო მე საიქიოდან ამბავი შენი ყოველი,
შენი ლამაზი ლექსები, სიბრძნეთა დიდთა მთოველი...
ღალატსა არ ხარ ჩვეული: მეც მოთმინებით მოველი.

ეშმაკი.

P. S. ზეცის შეინძრა მიდამო რა გავათავე წერანი,
ჰექა და გრგვინვა დაიწყო, თითქო ცად რბოდეს მერანი.
გაიხსნა გული ლაჟვარდი, მე სადა მქონდა მზერანი,
იგი ვიხილე სხივმფრქვევი, გულმან დამიწყო ძგერანი.
სოლომონ ვნახე მომდგარი ზეცისა ბროლის თაღებსა,
ვითა ნახატი ჩარჩოში, სდგა კარსა გამონაღებსა,
ვიცანი, ნათლად ვხედავდი მე მისთა მაღალ წაღებსა,
დღევანდელ ფულზე ათიოდ ათასად გასასაღებსა.
მან გადმომძახა:—ვინა ხარ ეგრე რომ შემაწუხეო.
გვაზავას ვფიცავ ვერა გცნობ პირველად გხედავ შენაო,
ეშმაკი ხარო თუ ვიღაც, ეს ჩემი საქმე არ არის
აქაურ ამბავს ჩემს მაგიერ სხვა ვიმმე მოგახსენებსო...
და ზეცის გული შეიკრა, სამოთხემ პირი იბურა,
ჩემს თავლზე ორი ობოლი კურცხალი ჩამოიწურა.

ე—კი.

დამოუკიდებელი საქართველო.

დ ა ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი.

ნუ დაგვზრახავთ მრავალსიტყვაობისათვის. დიდ საქმეზე ვწერთ.

წასვლამდე ის აქ იყო და მხოლოდ წასვლის შემდეგ დაბრუნდა.

„ეშმაკის მათრახის“ სარედაქციო კოლეგიამ გასწირა იგი მოსკოვში გასაგზავნათ.

— ძვირფასო გრიშა! („გრიგოლ ილარიონის-ძე“ იმას შემდეგ დაერქვა)—მოგვწყინდა ამდენი ჩხუბი და აყალ-მაყალი! წადი მოსკოვს და უთხარი ლენინს: თუ მას ჩვენი დამოუკიდებლობა არ უცნია და დაუყოვნებლივ ზავზე ხელი არ მოუწერია, ჩვენი რედაქცია ბოიკოტს გამოუცხადებს, და მომავალში მასზე ერთ განაწერას აღარაფერს დასწერს.

გრიშას ძლიერ მოეწონა ჩვენი „განზრახვა, აიღო ჯოხი და წავიდა.

წავიდა ის მხიარული, მალხაზი, ახალ პირდაბანილი და ქოჩორ გადავარცხნილი.

ოჰ! გულუბრყვილობავ! ჩვენ დაბრუნების დროსაც ასეთს მოველოდით!

„სოციალიზმის“ ქვეყნიდან გრიშა უკვე გრიგოლ ილარიონის-ძეთ და ისიც თვე ნახევრის შემდეგ დაბრუნდა.

მან ჩვენი დავალება პირნათლად შეასრულა: ლენინს ზავზე ხელი მოაწერია და საქართველოს დამოუკიდებლობა აცნობია.

ჩვენი შეხვედრა გულის ამაჩუყებული გამოდგა. გრიგოლ ილარიონის-ძე უკვე გაკომუნისტებული და გამოკონტრრევოლიუციონერებული აღმოჩნდა.

„გვწადდა, მაგრამ ვერ შევმართეთ შემოქმედობა, შემოხვევა“.

მართალია, ჩვენი საყვარელი გრიშა უკვე გადიდკაცებული, გაგრიგოლ ილარიონის-ძებული დაგვიბრუნდა, მაგრამ ჩვენ მაინც განვიზრახეთ განმადიდებელი შუშით შორი-ახლოდან მისი გასინჯვა.

სანახაობამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა.

ჩვენს წინაშე ნამდვილი კომუნისტი იდგა.

ძველთ მეგობართ შორის უკვე უფსკრული გაითხარა. ჩვენ არ შეგვეძლო რედაქციაში კომუნისტი-შემოგვეშვა. ჩვენი რედაქცია სატუსაღო არ არის. მოვითხოვეთ გრიგოლ ილარიონის-ძეს ბოლშევიკობაზე ხელი აეღო· მცირე ყოყმანის შემდეგ მან ჩვენი ულტიმატუმი მიიღო.

და აი, პირველი დეზინფექცია ჩვენი პკურების, ანუ სხურების სახით ვაწარმოვეთ.

კარბოლის სიმჟავე შადრევანებათ ჰფეთქდა, მაგრამ შედეგი დამაკმაყოფილებელი მაინც არ გამოდგა. ბოლშევიკობის ნიშნები მას მაინც საკმაო შერჩა.



იძულებული გავხდით განმეორებითი დეზინფექცია კმევით, ანუ ხრჩოლე'ით გვეწარმოებია, ძველებ-ურათ, მამა პაპ-ურათ.

მიზანს ვერც ამგზით მივაღწიეთ. ჩვენს წინაშე კვლავ ბოლშევიკი, გრიგოლ ილარიონის ძე იდგა.



ალფესი ხელაძის დახმარებით ჩვენ მოვიწვიეთ მექისეთა პროფესიონალურ კავშირის ბიუროს, საგანგებო თათბირის მოსახდენათ.

თათბირის წევრნი საგონებელში ჩავარდენ.

დასასრულ ერთხმათ გადასწყდა განსაკუთრებული ზომების მიღება დასახულ მიზნის მისაღწევათ



რამდენიმე მკვლავ-მაგარი სპეციალისტი ენერგიულათ შეუდგა საშვილიშვილო საქმეს.

რაც დრო გადიოდა, გრიგოლ ილარიონის-ძეს თანდათანობით ჩვენთვის მისაღები ელფერი ედებოდა.



რამოდენიმე საათის მძიმე მუშაობის შემდეგ ჩვენს წინაშე იჯდა ჩვენი რედაქციის წევრი და რედაქციაში კარგათ ცნობილი ამხანაგი გრიშა.

გრიშა ისეთი, როგორიც გვინახავს ამ თვე ნახევრის წინ: გრიშა ნამდვილი, გრიშა როგორიც ჩვენ გავაგზავნეთ ამ დიდი საქმის მოსაგვარებლათ.

ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა აქვს.



მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენ ჩვენი სიხარული, როდესაც ამხანაგმა გრიშამ გაშალა თავისი პატარა ბოხჩა და ამოალაგა საბჭოთა რუსეთიდან ჩვენთვის საჩუქრად ჩამოტანილი ახალი ნივთები.

— აი, ამხანაგებო, ეს არის სულ უკანასკნელი სისტემის „ვოშებოიკა“: დღე და ღამეში ათასი ტილის თავის მოკვეთა შეუძლია.

— აი ეს არის ახალი ჯიშის „სემიჩკა“.

— აი ეს არის... აი ეს არის... განაგრძობდა ის, ხოლო ჩვენ სულ განაბული შევყურებდით მას.

საიქიოდან.

„არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა".
რ. ერისთავი.

1.

ბუნებით სუსტი და მშიშარა არა ვყოფილვარ, მაგრამ იმ მძიმე მდგომარეობამ, რომელიც ამ ორი წლის წინეთ საქართველოს გარშემო შეიქნა, ისე მომადუნა, რომ მაისის ერთ ღრუბლიან საღამოს, სიბნელით მოცულ მომავალზე შავი ფიქრებით სევდა-მორეულს გული გამისკდა და წუთი-სოფელს გამოვეთხოვე.

ეს ამბავი მაშინ სრულებით შეუმჩნევლათ ჩატარდა, ვინაიდან ქართველ საზოგადოებას იმ დროს თავ-სატეხი საქმეები სხვაც ბევრი ჰქონდა, და ჩემი დაკარგვის გამო თავის შესაწუხებლათ არავის ეცალა.

ჩუმათ და წყნარათ მიაბარეს ჩემი ცხედარი მიწას ერთ-ერთ საპროვინციო ქალაქის ყრუ სასაფლაოზე. არც ერთი სიტყვა დასაფლავების დროს, არც ნეკროლოგი გაზეთის ფურცელზე!

ეს უყურადღებობა დამრჩა საწყენათ, თორემ სხვაფრივ სიკვდილმა, როგორც ჩემს თავზე უკვე მომხდარმა ფაქტმა, სიამოვნებაც კი მაგრძნობინა, რადგანაც მან საბოლოოთ განმათავისუფლა იმ შიშისა და ძრწოლის გრძნობისაგან, რომელსაც მე მაშინ განვიცდიდი შეუბრალებელი მტრის დღე-დღეზე მოლოდინში.

— გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ ასე უმტკივნეულოთ წარიტაცე სული ჩემი და მით საშუალება მომისპე საკუთარი თვალით მენახა ჩემი სამშობლოს აწიოკებისა და მშობელი ერის ფიზიკური განადგურების საშინელი სურათები, მთრთოლვარე ხმით ვბუტბუტებდი მე და ელვის სისწრაფით მივქროდი უსაზღრო ცის ლაჟვარდოვან სივრცეში...

2.

საიქიოს მართლ-მსაჯულებმა ჩემს ამ-ქვეყნიურ ცხოვრებაში დასაგმობი ვერაფერი ნახეს და ცხონებულთა რიცხვში ჩამწერეს.

ტკბილათ და თფილათ მიმდინარეობდა ჩემი სიკოცხლე სამოთხის თვალ-წარმტაც და სურნელოვან ხეივანში.

ჩემს კმაყოფილებას ის კიდევ უფრო ზრდიდა, რომ, წინააღმდეგ ჩემი მოლოდინისა, საქართველოდან სანუგეშო ამბები მოდიოდა.

— ქართველებმა ნახეს გამოსავალი მძიმე მდგომარეობიდანო, თვალ-ცრემლიანი მოუთხრობდა ქვირითიანი სომეხი მეორე ღიპიან სომეხს, რომელიც დიდი ხანია, რაც საიქიოს დასახლებულიყო და ყველა მის თანამემამულეს კარებში შემოსვლის უმალვე გულის ფანცქალით შეეკითხებოდა: როგორაა საქართველოს საქმე? დაიღუბა, თუ ჯერ კიდევ ბოგინობსო?

— უკვე დავამარცხეთ და ჩვენი საზღვრებიდან განვდევნეთ ოსმალთა ურდოებიო, სიხარულით მამცნო ერთმა ახალ-მოსულმა ქართველმა ახალგაზდამ.

მალე გავიგე ქართველების მიერ მოღალატურათ მომხდარ სომხეთის ლაშქრის დამარცხების ამბავიც.

განსაკუთრებულის სიამოვნებით ვისმენდი ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ ძვრებოდა კბილები ჩვენს საზღვრებთან შავი რუსეთის საზარელ გველ-ვეშაპს.

სიცილის გუნებაზე დამაყენა ადერბეჯანის მოულოდნელათ გაწითლებამ და ოსმალეთის ბეგების მიერ ჩვენში „სოციალიზმის" შემოტანის ცდამ...

განუსაზღვრელი სიხარულით აავსო ჩემი გული ლენინთან დადებულ საზავო პირობების შინაარსმა...

ვისმენდი ამ ამბებს და სიხარულთან ერთათ მწარეთ ვნანობდი, რომ მე ასე უდროოთ მოვწყდი წუთი-სოფელს, მშობელ ერსა და საყვარელ სამშობლოს.

მართალია, სამოთხეში ვცხოვრობდი, მაგრამ თავს მაინც ობლათ ვგრძნობდი და... დამებადა საოცარი სურვილი საიქიოდან გაპარვისა.

— რაც უნდა მომივიდეს, ერთს მაინც გადავავლებ თვალს იქაურობას! ვსთქვი მე გადაწყვეტით და კიდეც შევუდექით სათანადო მზადებას.

3.

როგორც მოგეხსენებათ, ზეციერი ცხოვრება დიდათ განსხვავდება ამ-ქვეყნიურ ცხოვრებიდან, მაგრამ შეცდომა იქნება, თუ იფიქრებთ, რომ იქ სხვა და სხვა თანამდებობის პირნი ქრთამს არ იღებენ.

მართალია, იმ ქვეყანას ფული არ არსებობს, მაგრამ-სამაგიეროთ იქ, განსაკუთრებით სამოთხეში, მოიპოვებიან ისეთი ძვირფასი ნივთები, რომელსაც იქაურ ცხოვრებაში ძალიან დიდი გასავალი აქვთ, და საიქიოს თანამდებობის პირნი უარს არ გეტყვიან, თუ ასეთ რამეს მიართმევთ საჩუქრათ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საიქიოს კანონების მიხედვით მექრთამეობაში შენიშნულნი პირნი სასტიკათ და შეუბრალებლათ ისჯებიან. მაგალითათ, საკმარისია სულ პატარა და უმნიშვნელო ქრთამის აღება იმისათვის, რომ ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი მოხელე ადგილიდან დასძრან და სხვა ადგილზე გადაიყვანონ. ეს კიდევ ცოტაა: ხშირათ მექრთამე-მოხელეს სამსახურიდანაც გადააყენებენ ხოლმე, და ამას შემდეგ ორი-სამი თვე ისე გაივლის, რომ, თუ დიდი შემწე და მფარველი არა ჰყავს, მას აღარავითარ საქმეს არ მისცემენ, და,

მიუხედავათ ასეთი სიმკაცრისა, მექრთამეობას იქ მაინც აქვს ადგილი.

ჰო და ერთ მშვენიერ დღეს სწორეთ აი ამ ქრთამის შემწეობით მე უვნებლათ გამოვსცდი სულთა სამეფოს საბედის-წერო საზღვარს.

— პირობა არ დაგავიწყდეს. მერვე დღეს უსათუოთ აქ უნდა იყო. მე მხოლოდ ამ ხნის განმა. ვლობაში შემიძლია არ გამოვამჟღავნო ეგ ამბავი, გამაფრთხილა ჩემმა მესაიდუმლემ გამომშვიდობებისას.

4.

ერთი კვირის წინეთ ჩამოვეშვი მე ჩვენი ქვეყნის ზურმუხტოვან მიწა-წყალზე და საკვირველი სისწრაფით მოვიარე ის კიდით კიდემდე.

დღეს კი აქ, რესპუბლიკის დედაქალაქში ვარ და სხვებთან ერთათ მეც ვეგებები განაწამებ სამშობლოს მკვდრეთით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ვსტკბები დიადი სანახაობით და თან გულში ვამბობ:

— არა, მე აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, მით უმეტეს, რომ ამ ორი წლის წინეთ უიმედობისაგან გაბზარული გული კვლავ გამიმრთელდა, და სიცოცხლე მსურდა ამ ქვეყნიური!

ცხადია, ჩემს ასეთ საქციელს ?დგომარეობის გართულება მოჰყვება. საიქიოს მთავრობა სათანადო ნოტით მოსთხოვს ჩვენს მთავრობას ჩემს გაცემას. დიპლომატიურ მიწერ-მოწერას შესაძლოა საომარი მოქმედების დაწყებაც მოჰყვეს; ეს მი ი უფროა მოსალოდნელი, რომ დიდი ღრუბელთ წინამძღოლი, წმინდა ელია, რომელიც ზეციერ ძალთა ნაფიც მთავარ-სარდლათ ითვლება, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, ომის ხასიათზეა და... მაგრამ ეს გარემოება ?ე ოდნავაც არ მაფიქრებს, რადგანაც ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ელია პირველ შემოტყვისთანავე იგძნობს თეთრ გიორგისთან ბრძოლის უნაყოფობას და იძულებული გახდება-თავის მთავრობას ჩვენთან საპატიო ზავის ჩამოგდება ურჩიოს...

დიახ, მე ამაში სავსებით დარწმუნებული ვარ და ამ იმედით კათეგორიულ უარს ვაცხადებ საოთხეში დაბრუნებაზე. ძ.

საიუბილეო საჩუქარი.

ინგლისი. დღეს მხოლოდ ორი წელიწადი შესრულდა და ნახე, როგორ აიყარა ტანი! თუ ამ რიგათ იზარდა, ხელიდან გამისხლტება და ვერაფერს გამოვრჩები. მოდი, ერთი ოინი ვუყო: ამ გზას ხომ ვერ ასცდება... აი ამ ბუჩქებში დაუდებ ხაფანგს, ჩაჰკრავს ფეხს და მორჩა! მშვიდობით დამოუკიდებელო საქართველო! (**ხაფანგს დაუდებს და უთვალთვალებს**).

სომხეთის მანდატი.

აბესალომი. **(მღერის)** ვის უნდა ქალი ეთერი?
ინგლისი, ამერიკა, იტალია. **(მღერიან)** არ გვინდა ქალი ეთერი!
თათარი. **(ხულაც არ მღერის)** მე მინდა ქალი ეთერი!

შექანჯალებულის ლექსები.

ერთი... ორი... ხუთი... ექვსი...
ასი ბოთლი ღვინო შევსვი...
დავაყოლე ზედ ცხრა ნესვი.
ამოვარდა თქვენი ფესვი...
ერთი... ორი... სამი, ექვსი...
ოცს მივადოთ კიდევ ექვსი—
ხომ იქნება ოცდა ექვსი?!
აი, სწორედ ოცდა ექვსი,—
—ოცდა ექვსი მაისისა,
მისი ხმა რომ შორს ისმისა,
მან დამოუკიდებლობა
მოგვიტანა, თან ობლობა...
რა ქნა ოცდა ექვსმაისმა?
მისი ხმა სად არ გაისმა?!!
ყველას დაუყენა კითხვა:
სულ ყველა თავს შეეკითხა:
„სად არის ეს საქართველო,
რომ შექმნა თვის სამმართველო?
ინგლისმა რუქა მონახა,—
—დიდხანს სძებნა, ვერსად ნახა,
საქართველო მან რუქაზე—
და ხელი მოისვა რქაზე—
სთქვა... ეს მხარე, მაშ—სად არის?!
ტელეფონით ჰკითხა პარიზს:
ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო,
ჩემო ახლოს მეზობელო,
გთხოვ, ვარამი გამინელო,
მითხარ: „სად არს საქართველო?!
რა ხალხის არს სამმართველო?

სურს დამოუკიდებლობა,
მაგრამ ჩვენ რა სარგებლობა
შეუძლია მოგვიტანოს...
კაცმა როგორ მიატანოს
ამ ქვეყანას ახლად ნაშენს,
სთქვი, გავმართავთ იქ ახალშენს?!?
საფრანგეთი ეტყვის — „ბონ ჟურს“
მაგის ცოდნა მეც დია მსურს,
ბარემ მეც მსურს მეზობელო,
ვიცოდე ეს საქართველო
რო შექმნა თვის სამფლობელო,
რა კაცია, ან ვინ არის,
რომელ კუთხის, რომელ მხარის.
მანაც რუქა გადაშალა,
მოიკრიფა ლონე, ძალა
წერტილიც არ გამოსტოვა,
საქართველო კი ვერ ჰპოვა!
ხელი გადაისვა თავზე:
სთქვა: თუ არის სკანდინავზე!..
სადაც არის, იქვე იყოს,
მაგრამ კი არ გავაბრიყვოს,
ცუდი საქმე კი არ გვიყოს,
სადმე მშრალზე არ გაგვრიყოს.
ეჰ, გული რომ არ მისვენებს?!.
რავქნა, იმას ვინ მაჩვენებს?..
და მაისი ოცდა ექვსი
ყველას მოხვდა, როგორც ნემსი,
დავათხლიშე იმათ ნესვი...
მე კი რუმბი ღვინო შევსვი...
ვილსონს ჰკითხა სწრაფლ ინგლისმა:
რა ჰქნა, ოცდა ექვს მაისმა,
შექმნა რაღაც საქართველო—
—კერძო მხარე—სამართველო,
ვსძებნით მე და საფრანგეთი,
ვსძებნით ჩვენ, როგორც ასეთი,
ვერ აუღეთ გზა და კვალი,
მოგაპყარით მიტომ თვალი
კითხვისათვის ბოდიშს ვიხდით,
(რავქნათ, თავად თუ ვერ მივხვდით)
უკაცრაოდ!.. საქართველო,
თქვენი არის სამმართველო??!
ის სად იყო ძმავ აქამდე,
ამ ოცდა ექვს მაისამდე,
აგვიხსნიდე, კარგს იზამდე,
დაგიხსომებთ სიკვდილამდე!!.
და ჩაფიქრდა მყის ვილსონი:
მოიკრიფა ჭკუა, გონი,
სთქვა: სადღაც კი არის მგონი,
სადღაც კი მაქვს განაგონი,
მაგრამ ეხლა აღარ მახსოვს,
მისი დარდი მეც ჭკვასა მწოვს,
რად ვსთქვი, ეს თვითგამორკვევით
ვხედავ, დღეს ყველა ირკვევა,
ქვეყნის ერთობა ირღვევა,
სჯობს რაც მალე დაიხევა
ჩემი საზავო მუხლები...
(მგლობას როგორ მოვშლით მგლები.)
თქვენ ეს მაინც ნუ გაღონებს,
„ის“ მაინც ვერ დაგვიმონებს,
ვერვის ვსჭვრეტ ჩვენს ბოლოს მომღებს,
ვკითხოთ, მაინც, ვკითხოთ სომხებს?..

გაჩნდენ იქ დაშნაკები,
თავზე ხელ-ფეხ ანაღები,
გაჩნდენ იქა, გაჩნდენ აქა,
(სინდისზე აქვთ ჭუჭყის ლაქა)
მოახსენეს სწრაფლ ანტანტას—
იმ ოინბაზს და თავ-პანტას;
საქართველო?!! ოჰ, ჩვენ ვიცნობთ,
თქვენ იმის შიშს, სჩანს ვერა გრძნობთ,
ის მხეცების სამყაროა,
რომ დავიპყროთ, უკვე დროა,
თორემ შეგვჭამს, თორემ შეგჭამს,
თქვენც შეგირჩევს დროსა და ჟამს,
თქვენ იმ თვალით შემოგყურებთ,
იცოდეთ, გაგანადგურებთ,
აბა, წამო, რას უყურებთ!!.
ჩვენ, ხომ მოგვსპო და შეგვჭამა,
იქ თავის შვილს ყლაპავს მამა,
თორემ სხვას ვით დაინდობენ,
ყოველ დღე ჩვენთან ომობენ
თვის მეზობლებს გვჟლეტენ, გვსპობენ,
მალე, თქვენაც დაგიპყრობენ
თუ დროზე თავს არ უშველეთ,
ერთი ცოტა მოგვეშველეთ,
ცოტა ჯარი მოგვაშველეთ,
ჩამობრძანდით იქ, ბათომში,
და თქვენ კი არ გაგრეკთ ომში?
ოღონდ ზურგი გაგვიმაგრეთ,
თქვენ იყავით ჩვენს სიმაგრეთ,
საქართველოს ჩვენ დავიპყრობთ,
ეს მალე ვქნათ, რაღას ფიქრობთ?!.

და ამ ოცდა ექვს მაისმა—
რა იმისი ხმა გაისმა:
შესძრა ზეცა და ქვეყანა:
სულ ყველა აქ მოიყვანა:
სომხებმა მათ გზა ასწავლა,
(მოეწონათ ჩვენში გავლა:)
გერმანეთი საფრანგეთი
ინგლისი და იტალია,—
თათრებს უთხრეს: გეთი! გეთი!..
აქ, რა გინდა ჩენ ალია?
ჩვენი არის ეს ბათუმი,
ჩვენ უნდა მოვდოთ ხართუმი...
გაგვითამამა სომხები...

მოაზროვნე აზერბეიჯანი.

აზერბეიჯანელი კომუნისტები (ფიქრობენ) დიდ არს ალაჰი! მაშ ეს ყოფილა კომუნიზმი? ასეთი კომუნიზმი ხომ ნიკოლოზის დროსაც გვქონდა!

მოგვესიენ როგორც მგლები
მაგრამ ზურგზე რო უჭირე
უკან ხელი მოიპირეს
და მოჰკურცხლეს ერევანში...
დღესაც უვლის იმათ ტანში
ჟრუანტელი მაშინდელი...
ინგლისმა არ მისცა ხელი
და მონახა გველმა ხვრელი...
მაგრამ სტუმარმა ინგლისმა,
იმოდენა იინგლისა;
სიტყვა აქვს იმას თილისმა—
გაუმაძღრობა კი მგლისა—
ჩვენ მიმართ გამოიჩინა,
რა ქნა, ვინ არ შეგვიჩინა,

რამდენხანს ადენიკინა
დენიკინი და კოლჩაკი...
მტრებმა მათ მტვერი ადინა...
იმათ მოკურცხლეს ჩაქ-ჩაქით...
ბოლოს, ვინც ვიყავით გვიცვნეს
ოცდა ექვს მაისად გვიცვნეს;
რა ვერ გაიტანეს ლელო,
მაშინ იცვნეს საქართველო...
მაინც ჩვენი ოცდა ექვსი
გულში ხვდებაო როგორც ნემსი,
დღესაც გვიწყობს მგონი ხლართებს,
ფხიზლად!! ჩვენ სიფრთხილე გვმართებს!
ჩვენ გაუძლებთ ამგვარ დარდებს,
კვლავ ბევრს გავღლეტთ ეკალ-ბარდებს.

(ხვალ წავასხამ წყალზე ბატებს,
და დედა პურს მომიმატებს).

ჰო, და ოცდა ექვს მაისმა—
როგორც ჯადომ და თილისმამ.
ყველა ჩვენსკენ მოიზიდა,
გრძელი აქვთ თუ ერთი ცოდა—
—ყველა ჩვენსკენ იშვერს ხელებს,
შიგნით, გარეთ თხრიან ხვრელებს
და სისინი გააქვთ გველებს...
რათ არ ესმით ჭკუა თხელებს,
ჭკუით საწყლებს, გულით მონებს
რომ ვერავინ დავიმონებს,—
—ჩვენ გრძელ ცოცხით დავგვით მონებს...
მაშ, მაისი ოცდა ექვსი,
ნურვის გხვდება, როგორც ნემსი
ის ჩვენს ყოფნის კალენდარში,
წითელ დროშით ამოვქსოვეთ,
წინ მიგვიძღვის დარ-ავდარში,
იმით შვება ლხინი ვპოვეთ.
მაშ, ძმებო, ოცდა ექვს მაისს,
გაუმარჯოს წელს და გაისს
და სულ, სულ, უკუნისამდე,
დედა მიწის დალევამდე,
და მცხუნვარე მზის დაწვამდე..

შექანჯალებული.

დაბრუნებული სამაჰმადიანო საქართველო.

სახელმწიფო სტამბა.